



საჩუქრადგანთ წერიდი





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხელმძღვანელობას

საქართველოს რეგიონული განვითარებისა
და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2019
წლის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების აუდიტის შედეგების შესახებ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს
ქალბატონ მაია ცქიტიშვილს,

ქალბატონო მაია,

გაცნობებთ, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გაიცა უარყოფითი დასკვნა.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

პატივისცემით,

გენერალური აუდიტორი

ერეკლე მექვაბიშვილი

ტერმინები და შემოკლებები	2
1. რეკომენდაციები	3
2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები (შეუსწორებელი უზუსტობები)	10
საკონტაქტო ინფორმაცია	13

ტერმინები და შემოკლებები

აღრიცხვის ინსტრუქცია – „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის 429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

დეპარტამენტი – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

მინისტრი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი.

სამინისტრო – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

სამინისტროს აპარატი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი.

სსდ – სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება.

ფონდი – სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

ცენტრი – სსიპ – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი.

1. რეკომენდაციები

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2019 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით¹

გრძელვადიანი საბიუჯეტო სესხები

ფაქტობრივი გარემოება ²	სამინისტროს აპარატს ფინანსურ ანგარიშგებაში გრძელვადიანი აქტივებისა და მოთხოვნების მუხლში აღრიცხული აქვს გრძელვადიანი საბიუჯეტო სესხები 668,336,265 ლარის ოდენობით. აღნიშნული მოთხოვნა სასესხო და ქვესასესხო ხელშეკრულებებზე დაყრდნობით გადანაწილებულია შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვისა“ და შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების“ კომპანიებზე შესაბამისად 8,884,314 ლარის და 659,451,951 ლარის ოდენობით.
მიზეზი	აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა.
გავლენა	ფინანსური ანგარიშგების „გრძელვადიანი ფინანსური აქტივებისა და მოთხოვნების“ მუხლში არსებული შეუსაბამოებები.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად და უტყუარად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ფინანსთა სამინისტროსთან კოორდინაციით შეისწავლოს, თუ რამდენად აკმაყოფილებს „გრძელვადიანი ფინანსური აქტივებისა და მოთხოვნების“ მუხლში ასახული 668,336,265 ლარი აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.
კომპონენტი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	სამინისტროს აპარატი.

¹ წინა პერიოდის აუდიტების შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების შედეგები ასახულია „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემაში“ (<https://aris.sao.ge/>).

² ფაქტობრივი გარემოება - დარღვევა / ნაკლოვანება, რომელმაც გამოიწვია ან სავარაუდოდ გამოიწვევს ფინანსური ანგარიშგების უზუსტობას, გარდა (ISSAI 1450-ს შესაბამისად: „უზუსტობა - განსხვავება, რომელიც არსებობს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მუხლის თანხაში, კლასიფიკაციაში, წარდგენაში, ან შესაბამის ახსნა-განმარტებაში და იმ თანხას, კლასიფიკაციას, წარდგენას, ან შესაბამის ახსნა-განმარტებას შორის, რაც ამ მუხლისთვის მოითხოვება ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად“).

კონტროლირებულ ერთეულებში განხორციელებული შენატანები

ფაქტობრივი გარემოება

სამინისტროს აპარატს ფინანსურ ანგარიშგებაში გრძელვადიანი ფინანსური აქტივებისა და მოთხოვნების ანგარიშზე „აქციები და სხვა კაპიტალის“ მუხლში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული აქვს 278,091,026 ლარი, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა პერიოდში შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასა“ და შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიაში“ განხორციელებულ შენატანებს.³

2019 წლამდე, ყველა შენატანი აკუმულირდებოდა „აქციები და სხვა კაპიტალის“ მუხლში. 2019 წლიდან სამინისტროს აპარატმა შეცვალა მიდგომა და ფულადი შენატანები კლასიფიცირებულია „აქტივებისა და სხვა კაპიტალის“ ნაცვლად, „სხვა ხარჯების“ მუხლში.

ზემოხსენებული ცვლილება აღრიცხვის ინსტრუქციის მე-13 მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს ორგანიზაციის სააღრიცხვო პრაქტიკის ცვლილებას და მოითხოვს ახალი სააღრიცხვო პრაქტიკის რეტროსპექტულად გამოყენებას შესაძარისი ინფორმაციის მიმართ.⁴

გარდა ამისა, აპარატი არ აღრიცხავს შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასა“ და შპს „მყარი ნარჩენების მართვის კომპანიაში“ განხორციელებულ ქონებრივ შენატანებს, რომლებიც წარმოადგენენ სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან გადმოცემულ ქონებებს⁵ და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯამურად შეადგენენ 192,045,990 ლარს.

მიზეზი

სააღრიცხვო პრაქტიკის ცვლილება და ქონებრივ შენატანებთან დაკავშირებით დანერგილი არასათანადო სააღრიცხვო პრაქტიკა.

გავლენა

სააღრიცხვო პრაქტიკის ცვლილებამ გავლენა მოახდინა ფინანსური ანგარიშგების „აქციები და სხვა კაპიტალის“ და „სხვა ხარჯების“ მუხლზე. შესაძლებელია 2019 წლამდე არსებული მეთოდით სამინისტროს აპარატის „აქციები და სხვა კაპიტალის“ მუხლი გაზრდილი იყოს არასწორად, ხოლო 2019 წლიდან „სხვა ხარჯების“ მუხლი შეიცავდეს უზუსტობებს. ასევე, „აქციები და სხვა კაპიტალის“ მუხლი შემცირებულია ქონებრივი შენატანების არასწორად აღრიცხვის გამო.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად და უტყუარად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია, სამინისტროს აპარატმა შეაფასოს „აქციები და სხვა კაპიტალის“ მუხლში აკუმულირებული თანხების წარმოშობისა და კლასიფიკაციის სისწორე. ასევე, განსაზღვროს რამდენად აკმაყოფილებენ აღნიშნული თანხები აქტივად

³ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ბრძანებების საფუძველზე.

⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N429 „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 13, პუნქტი 7.

⁵ ქონების გადაცემის საფუძველია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ბრძანებები.

აღიარების კრიტერიუმებს, მათ მიერ სამომავლოდ მოტანილი ეკონომიკური სარგებლისა და მომსახურების პოტენციალის გათვალისწინებით.

კომპონენტი რომელზეც გაიცა სამინისტროს აპარატი.
რეკომენდაცია
შესასრულებლად

დაუმთავრებელი აქტივები

ფაქტობრივი გარემოება

საავტომობილო გზების დეპარტამენტს დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების მუხლში 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული აქვს შესაბამისად, 894,828,059 ლარის და 1,297,832,158 ლარის აქტივები.

აღნიშნულ მუხლზე აკუმულირებული აქტივები წარმოადგენენ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში შექმნილ ისეთ ინფრასტრუქტურულ ძირითად საშუალებებს როგორცაა გზები, ხიდები, გვირაბები.

აღსანიშნავია, რომ გზების დეპარტამენტი არ აწარმოებს ზემოაღნიშნულ მუხლში შემავალი გზების, ხიდებისა და გვირაბების რეესტრს. ევრაზიის ცენტრისგან მიღებული საკასო შესრულების მოცულობა საბუღალტრო პროგრამაში გატარებულია ჯამურად. შესაბამისად, გართულებულია ანგარიშზე აკუმულირებული თანხების პროექტების მიხედვით იდენტიფიცირება, რამაც შესაძლებელია შეაფერხოს დეპარტამენტის მხრიდან მათზე კონტროლი. აღნიშნულიდან გამომდინარე, რთულია დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშზე ასახული თანხების შესაბამისი დოკუმენტების მოძიება.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები“ 2018 წლის ფინანსური აუდიტის საფუძველზე გამოვლინდა 103,236,067 ლარის აქტივები, რომლებიც წარმოშობილია 2006-2017 წლებში. აღნიშნული აქტივები შედგება საპროექტო სამუშაოების, დაუმთავრებელი მშენებლობების, საკონსულტაციო მომსახურების და სხვა აქტივებისგან. აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულ აქტივებზე 2018 წელს არ განხორციელებულა კაპიტალური დანახარჯები.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა შექმნა საინვენტარიზაციო კომისია, რომელმაც უნდა შეისწავლოს და დაადგინოს დაუმთავრებელი აქტივების წარმოშობის საფუძვლები, სტატუსი და შემდგომში მათი ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობა.

მიზეზი

დეპარტამენტის განმარტებით, საინვენტარიზაციო კომისია მუშაობს ინტენსიურად, თუმცა COVID 19-ის პანდემიიდან გამომდინარე, მათ ინვენტარიზაციის ვადა გაგრძელდა 2020 წლის პირველ ნოემბრამდე.

ამასთანავე, დეპარტამენტის განმარტებით დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშზე აკუმულირებული თანხების პროექტების მიხედვით იდენტიფიცირების სირთულეს იწვევს ის გარემოება, რომ საინვესტიციო ცენტრი ბუღალტრულ აღრიცხვას არ აწარმოებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

გავლენა

აქტივის შექმნის ეტაპზე დანერგილი არასათანადო კონტროლის მექანიზმები და არასრული აღრიცხვიანობა.

დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში, შესაძლოა არსებობდეს ისეთი დაუმთავრებელი აქტივები, რომელთა შემდგომში გამოყენება არ არის მოსალოდნელი. შესაბამისად, „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების“ მუხლი შესაძლოა არ იყოს სრული, ზუსტი და არ შეესაბამებოდეს დაუმთავრებელი აქტივების კლასიფიკაციას და ფინანსურ ანგარიშგებაში იწვევდეს არსებით უზუსტობებს.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია საავტომობილო გზების დეპარტამენტის საინვენტარიზაციო კომისიამ დაადგინოს დაუმთავრებელი აქტივების წარმოშობის საფუძვლები, სტატუსი და შემდგომში მათი ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობა, ხოლო ისეთი აქტივების იდენტიფიკაციის შემთხვევაში, რომელთა მომავალში გამოყენება შეუძლებელია, იმსჯელოს გამომწვევ მიზეზებზე და იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად.

აღრიცხვის შეცდომებისა და არსებითი უზუსტობების თავიდან ასაცილებლად, სამინისტროს აპარატში უნდა დაინერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს დაქვემდებარებული უწყებების მუშაობას კოორდინირებულად, ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

**კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად**

სამინისტროს აპარატი, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, სსიპ - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი.

სასამართლო დავები**ფაქტობრივი გარემოება**

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის მოცემული ინფორმაცია საქართველოს სასამართლოში მიმდინარე დავების შესახებ, რომელთა სავარაუდო თანხა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მიზები	შეადგენს დაახლოებით 16,524,754 ლარს. აქედან, 7,152,257 ლარის შემთხვევაში, დეპარტამენტი არის მოსარჩელე, ხოლო 9,372,497 ლარის შემთხვევაში მოპასუხე. სააღრიცხვო პრაქტიკაში არსებული ხარვეზები.
გავლენა	არსებული პრაქტიკა გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშების სამართლიან წარდგენაზე, ვინაიდან ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მონაცემები არ შეიცავს ისეთ ინფორმაციას, რომელიც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს ანგარიშგების მომხმარებლებისთვის.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, სასამართლო დავების შესახებ ინფორმაცია მომზადდეს და აისახოს ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	სამინისტროს აპარატი, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

აღრიცხვა-ანგარიშგების ხარვეზები

ფაქტობრივი გარემოება	სააღრიცხვო პოლიტიკის და აღრიცხვა-ანგარიშგების ხარვეზები რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებებში არ არის შემუშავებული და დანერგილი ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და გამოყენება ორგანიზაციაში აღრიცხვის თანმიმდევრულობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.⁶
	გადაცემული ძირითადი საშუალებების დაგვიანებით აღრიცხვა საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ფინანსურ ანგარიშგებაში „ძირითადი აქტივების“ მუხლში 2019 წელს აღრიცხა სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ 2018 წელს გადმოცემული 50,553,616 ლარის ღირებულების ერთ-ერთ საერთაშორისო მნიშვნელობის გზის მოდერნიზაციის დასრულებული სამუშაოები.⁷ აღნიშნული აქტივი ექსპლუატაციაში შესულია 2017 წელს.⁸ 2013 წლიდან, ფონდი აქტივის შექმნის პროცესში შესრულებული სამუშაოების თანხას აღრიცხავდა არა როგორც ძირითად საშუალებას, არამედ როგორც ხარჯს. შესაბამისად, გზის მშენებლობის დასრულებისას სსიპ – მუნიციპალური

⁶ აუდიტის ობიექტის განმარტებით, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებიდან (IPSAS) გამომდინარე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო გეგმავს ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებას მთელი სისტემისათვის.

⁷ აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი, თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის მესამე მონაკვეთი: პკ105+00-პკ174+00.

⁸ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2017 წლის 25 დეკემბრის N64-05 ბრძანებით, თბილისი-წითელი ხიდი (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) ავტომაგისტრალის თბილისი-რუსთავის მესამე მონაკვეთის (პკ10+500-პკ17+400-მდე ფონიჭალა-რუსთავი) ექსპლუატაციაში მიღების შესახებ.

განვითარების ფონდის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არსებობდა დეპარტამენტისთვის გადასაცემი აქტივი შესაბამისი ღირებულებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების განსხვავებული მეთოდი

სსიპ – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი წარმოადგენს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფინანსურ მენეჯერს, რომელიც დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ პროექტებზე შესრულებული სამუშაოების შესაბამისად გადარიცხავს თანხების და ინფორმაციას ექსელის სახით გადასცემს საავტომობილო გზების დეპარტამენტს. აღსანიშნავია, რომ მონაცემები საკასო (ფაქტობრივი) შესრულებით პირდაპირ გადადის ფინანსურ ანგარიშგებაში, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება დარიცხვის მეთოდით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებისგან და შესაბამისად, როგორც ერთეულების,⁹ ასევე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაძლებელია შეიცავდეს არსებით უზუსტობებს.

მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოტოვება ფინანსურ ანგარიშგებაში

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს მაკონტროლებელი ერთეულის ყველა კონტროლირებად ერთეულს,¹⁰ რაც ეწინააღმდეგება აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებს.¹¹

მიზეზი

ორგანიზაციაში არ არსებობს დამტკიცებული სააღრიცხვო პოლიტიკა.

გავლენა

აღრიცხვის დროს დაშვებული შეცდომები აისახება ფინანსური ანგარიშგებაში არსებულ უზუსტობებში.

რეკომენდაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად და უტყუარად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ შეიმუშაოს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ხელს შეუწყობენ განსხვავებული სააღრიცხვო მიდგომების შედეგად გამოწვეული უზუსტობების მინიმუმამდე შემცირებას, როგორც სამინისტროს აპარატში, ასევე მის დაქვემდებარებაში მყოფ ერთეულებში.

კომპონენტები რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

სამინისტროს აპარატი, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდი, სსიპ – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი.

⁹ საავტომობილო გზების დეპარტამენტი, სსიპ – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი.

¹⁰ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ და შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“.

¹¹ აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 39, პუნქტი 4; მუხლი 41, პუნქტი 32,ა და „ბ“.

ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანებები

ფაქტობრივი გარემოება

საავტომობილო გზების დეპარტამენტს კრედიტორული დავალიანების მუხლში აღრიცხული აქვს 5,980,954 ლარის ისეთი ვადაგადაცილებული ვალდებულებები, რომლებიც წარმოშობილია 2004-2015 წლებში და მათზე 2019 წელს ბრუნვა არ განხორციელებულა.

აღნიშნული დავალიანებები ძირითადად შედგება სამშენებლო პროექტების განხორციელებისას ხარისხის უზრუნველსაყოფად კონტრაქტორებისთვის დაკავებული თანხებისგან.¹²

მიზეზი

სააღრიცხვო პრაქტიკაში არსებული ხარვეზები.

გავლენა

არსებული პრაქტიკა გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშების სამართლიან წარდგენაზე, ვინაიდან ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მონაცემები არ შეიცავს ისეთ ინფორმაციას, რომელიც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს ანგარიშგების მომხმარებლებისთვის.

რეკომენდაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად და უტყუარად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია, დეპარტამენტმა შექმნას კრედიტორების შემსწავლელი კომისია და შეისწავლოს ვადაგადაცილებული კრედიტორები მათი წარმოშობის წლებისა და ხანდაზმულობის მიხედვით, შეაფასოს მათი სამართლიანად ასახვის კრიტერიუმები და შესაბამისად დააკორექტიროს აღნიშნული მუხლი.

კომპონენტი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

¹² ხარისხის უზრუნველსაყოფად დაკავებული საგარანტიო თანხები 2.5% და 5%.

2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები (შეუსწორებელი უზუსტობები)

ფინანსური მდგომარეობის
შესახებ ანგარიში (ფორმა N1) -
სხვა მოკლევადიანი
ფინანსური აქტივები

სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა აზიის განვითარების ბანკის პროექტის¹³ ფარგლებში, ქ. ფოთში განახორციელა კანალიზაციის სატუმბი სადგურებისა და წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია.¹⁴

ხელშეკრულებების შესაბამისად, ქ. ფოთის მუნიციპალიტეტს ფონდის მიმართ წარმოეშვა სასესხო დავალიანება, რომელიც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 4,057,006 ლარს¹⁵ და წარმოადგენს ვადაგადაცილებულ მოთხოვნას.¹⁶ მუნიციპალიტეტმა უარი განაცხადა სესხის გადახდაზე, ვინაიდან პროექტის შედეგად მიღებული აქტივი მთავრობის განკარგულებით¹⁷ გადაეცა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“.¹⁸ შესაბამისად, მუნიციპალიტეტი აღარ არის აქტივის განმკარგავი.

აღსანიშნავია, რომ აქტივის გადაცემის მომენტში შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ არ გადაეცა მის შექმნასთან დაკავშირებული სასესხო ვალდებულებები. მაშინ როდესაც, აღნიშნული აქტივის გამოყენებით ის იღებს ეკონომიკურ სარგებელსა და მომსახურების პოტენციალს.

ვალდებულების ნაწილის შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაზე“ გადაკისრება განხორციელდა 2020 წლის 28 მაისის სამმხრივი მემორანდუმისა¹⁹ და სასესხო ხელშეკრულების²⁰ საფუძველზე, თუმცა, სესხის თანხა, ნაცვლად 4,057,006 ლარისა განისაზღვრა 2,143,360 ლარით, რომელიც წარმოადგენს ვადაგადაცილებული სასესხო მოთხოვნის ძირს. დარჩენილი ვადაგადაცილებული საპროცენტო თანხა, რომელიც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2,170,846 ლარს, ისევ რჩება მუნიციპალური განვითარების ფონდის მოკლევადიანი ფინანსური აქტივების მუხლში. ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით,²¹ ქ. ფოთის მუნიციპალიტეტს

¹³ „მუნიციპალური მომსახურების განვითარების“ (MSDP-ADB).

¹⁴ საფუძველს წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტთან გაფორმებული პროექტის საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულებები.

¹⁵ 2,143,360 ლარი – სესხის ძირი და 2,170,846 ლარი – დარიცხული პროცენტი.

¹⁶ მოთხოვნა წარმოშობილია 2010 წელს.

¹⁷ ფონდმა ვერ წარმოგვიდგინა აღნიშნული მთავრობის განკარგულება.

¹⁸ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ პარტნიორის უფლებამოსილებას ახორციელებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიის 100% წილის მმართველი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

¹⁹ 2020 წლის 28 მაისის გაფორმებული მემორანდუმი შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“, სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შორის.

²⁰ სასესხო ხელშეკრულება N-MDF/GWP-02.

²¹ სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის 2016 წლის 6 ოქტომბრის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი N86, საკითხი N5.

ეპატია სესხზე დარიცხული პროცენტი და პირგასამტეხლო და, შესაბამისად, 2,170,846 ლარი არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმს.

2,170,846 ლარი არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმს, შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების „სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლი გაზრდილია 2,170,846 ლარით.

**კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდი.

**ფინანსური მდგომარეობის
შესახებ ანგარიში (ფორმა N1)-
ძირითადი აქტივები**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ფინანსურ ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ძირითადი აქტივების“ მუხლში აღრიცხულია ნინოწმინდის მუნიციპალიტეტისთვის გადასაცემი აქტივი²² 1,647,322 ლარის ოდენობით.

ნინოწმინდაში, სოფელ ეშტიაში მიმავალი გზის რეაბილიტაცია დასრულდა 2019 წლის ბოლოს. მშენებელთან მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმებულია 2019 წლის 2 დეკემბერს და მუნიციპალიტეტთან სასესიო ხელშეკრულება ორმხრივად ხელმოწერილია 2019 წლის 18 დეკემბერს. მიუხედავად აღნიშნულისა, მუნიციპალიტეტს დასრულებული აქტივი გადაეცა 2020 წლის 7 ივლისს.

აქტივის დაგვიანებით გადაცემის შედეგად, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში „ძირითადი აქტივების“ მუხლი გაზრდილია 1,647,322 ლარით.

**კომპონენტი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა**

სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდი.

**ფინანსური შედეგების შესახებ
ანგარიში (ფორმა N2)**

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი კაპიტალის მოხმარების ხარჯი შეადგენს 192,074,649 ლარს. ცვეთის ხარჯი ორგანიზაციამ გაიანგარიშა ერთ-ერთი შიდა სტრუქტურული ერთეულის მიერ მომზადებული ბაზით. ამავე მონაცემებზე დაყრდნობით, აუდიტის ჯგუფმა გადათვალა ცვეთის ხარჯი და გამოვლინდა, რომ დეპარტამენტს ცვეთის ხარჯი აღრიცხული ჰქონდა 3,532,059 ლარით ზედმეტი ოდენობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში „ძირითადი აქტივები“ შემცირებულია 3,532,059 ლარით და ფორმა N2-ში „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი გაზრდილია 3,532,059 ლარით.

²² საავტომობილო გზა.

**ფინანსური შედეგების შესახებ
ანგარიში (ფორმა N2)**

სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდი დონორისგან მიღებული ფულადი სახსრებით ქმნის დაუმთავრებელ ძირითად აქტივს ბენეფიციარებისთვის.

2019 წელს ზუგდიდის²³ მუნიციპალიტეტისთვის საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულების საფუძველზე, გრანტის სახით გადაცემულია 11,508,422 ლარის ძირითადი საშუალება.

ხელშეკრულების თანახმად, აქტივის ღირებულების 20%-ს ფარავს მუნიციპალიტეტი, ხოლო 50%-ს სესხის და 30% კაპიტალური გრანტის სახით გადასცემს ფონდი. ზემოხსენებულ შემთხვევაში, გრანტის ხარჯი გაზრდილია თანამონაწილეობის და სესხის თანხებით, რაც შეადგენს შესაბამისად, 2,181,340 ლარს და 5,453,349 ლარს.

აგრეთვე მესტიის მუნიციპალიტეტისთვის გრანტის ხარჯის მუხლით 2019 წელს გადაცემულია აქტივი²⁴ 4,772,192 ლარის ღირებულებით, საიდანაც 715,828 ლარი წარმოადგენს თანამონაწილეობის თანხას და არ უნდა იყოს აღიარებული ხარჯად.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ფონდს 2019 წლის გრანტის ხარჯში აღიარებული აქვს ტყიბულის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემული აქტივი²⁵ 1,705,923 ლარის ოდენობით. აქტივის მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმებულია 2020 წლის 23 იანვარს. შესაბამისად, აღნიშნული თანხა არ აკმაყოფილებს 2019 წლის გრანტის ხარჯად აღიარების კრიტერიუმს.

შედეგად, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში „გრანტების“ მუხლი გაზრდილია 10,056,440 ლარით.

²³ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოები.

²⁴ ლეო ფილფანის სახელობის სახალხო და ფოლკლორული თეატრის რეაბილიტაცია.

²⁵ მოწამეთის მონასტერთან კულტურული მემკვიდრეობის და ტურისტული ზონების მოწყობა.

საკონტაქტო ინფორმაცია

**გაცემული
რეკომენდაციების
შესრულების
მონიტორინგის
პროცესზე
პასუხისმგებელი
პირი**

შორენა თირქია - shtirkia@sao.ge

**სახელმწიფო
აუდიტის სამსახურის
რეკომენდაციების
შესრულების
მონიტორინგის
სისტემა**

<https://aris.sao.ge/>

**ვებგვერდი და
სოციალური მედია**

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38